



საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტები

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

„აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“

კანონპროექტის დასახელება

საქართველოს პარლამენტის 108 წევრი

01.05.2017წ.

კანონპროექტის ინიციატორი

შემოსვლის თარიღი

სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისია

კანონპროექტის ავტორი

I მოსამენა

1. ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი.
2. განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტი.
3. აგრარულ საკითხთა კომიტეტი.
4. გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების კომიტეტი.
5. დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტი.
6. ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი.
7. თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტი.
8. იურიდიულ საკითხთა კომიტეტი.
9. რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი.
10. საგარეო ურთიერთობათა კომიტეტი.
11. საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტი.
12. საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი.
13. სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომიტეტი.
14. დიასპორისა და კავკასიის საკითხთა კომიტეტი.
15. ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

უწყებები, რომლებთანაც წინასწარა შეთანხმებული კანონპროექტი

პარლამენტის კომიტეტები, რომლებსაც გადაეცათ კანონპროექტი განსახილველად

21 ივნისი

პლენარულ სხდომაზე განხილვის თარიღი

იხილეთ იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა

იხილეთ საბიუჯეტო ოფისის დასკვნა

ირაკლი კობახიძე

ვიკ ბუხუჩიძე  
საბიუჯეტო ოფისის  
ირაკლი სესიაშვილი  
გრიგოლ ლილუაშვილი  
ირაკლი კლუხაძე

მომხსენებელი

თანამომხსენებელი

ზურაბ დეკანოიძე, გიორგი თორდია

კანონპროექტზე კომიტეტის აპარატის პასუხისმგებელი პირი

იურიდიული დეპარტამენტის დასკვნა

შ  
ე  
ნ  
ო  
შ  
პ  
ზ  
ნ  
ე  
პ  
ბ  
ო

- იურიდიულ საკითხთა კომიტეტი – დანართი №1
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი – დანართი №2
- თავდაცვისა და უშიშროების – დანართი №3
- რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტი – დანართი №4
- საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი – დანართი №5

შ  
ე  
ნ  
ო  
შ  
პ  
ზ  
ნ  
ე  
პ  
ბ  
ო



## იურიდიულ საკითხთა კომიტეტი

№10496  
20.06.2017

საქართველოს პარლამენტის აპარატის საორგანიზაციო  
დეპარტამენტის უფროსს ქალბატონ ეთერ სვიანაიძეს

ქალბატონო ეთერ,

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა პირველი  
მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის 108 წევრის მიერ საკანონმდებლო  
ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციური კანონის  
პროექტები: „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის  
ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ (07-3/52, 01.05.2017).

გიგზავნით კონსტიტუციური კანონის პროექტების ტექსტს, კომიტეტის დასკვნასა  
და შენიშვნების ფურცელს.

პატივისცემით,

ეკა ბესელია

კომიტეტის თავმჯდომარე

N10496  
20.06.2017

იურიდიულ საკითხთა კომიტეტის

დასკვნა

საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტებზე:

„საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ (07-3/52, 01.05.2017)

საქართველოს პარლამენტის იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა, 2017 წლის 9 ივნისს, კომიტეტის სხდომაზე, პირველი მოსმენით განიხილა საქართველოს პარლამენტის 108 წევრის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით წარმოდგენილი საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტები: „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ“ (07-3/52, 01.05.2017). კონსტიტუციური კანონის პროექტები კომიტეტს წარუდგინა საქართველოს პარლამენტისა და საკონსტიტუციო ცვლილებების საყოველთაო-სახალხო განხილვის საორგანიზაციო კომისიის თავმჯდომარემ, ირაკლი კობახიძემ.

„საქართველოს კონსტიტუციური კანონის პროექტი „საქართველოს კონსტიტუციაში ცვლილების შეტანის შესახებ“

წარმოდგენილი კონსტიტუციური კანონის პროექტი ითვალისწინებს ფუნდამენტურ ცვლილებებს საქართველოს კონსტიტუციაში. მისი მიზანია კონსტიტუციურ ორგანოებს შორის უფლებამოსილებების სათანადო განაწილებისა და მკაფიო გამიჯვნის უზრუნველყოფა. კონსტიტუციური კანონის პროექტი განამტკიცებს სახელმწიფო სუვერენიტეტის პრინციპს, სახელმწიფო სიმბოლოებს, დემოკრატიის, სამართლებრივი სახელმწიფოს, სოციალური სახელმწიფოსა და ეკონომიკური თავისუფლების პრინციპებს, ტერიტორიული მოწყობის საფუძვლებსა და სახელმწიფოსა და მართლმადიდებელ ეკლესიას შორის ურთიერთობას, ახალ

გარანტიებს სახელმწიფო ენისა და სიმბოლოების დაცვის უზრუნველსაყოფად, განამტკიცებს დემოკრატიული მანდატის ვადის ხელშეუვალობის პრინციპს, ითვალისწინებს ნორმატიული აქტების იერარქიის მოწესრიგებას ორგანული კანონით, სახელმწიფოს სოციალურ პასუხისმგებლობას ადამიანის მიმართ, უკეთ აწესრიგებს ტერიტორიულ მოწყობასთან დაკავშირებულ საკითხებს. სახელმწიფო ენის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, შემოთავაზებულია მისი დაცვის სტანდარტის ამაღლება და სახელმწიფო ენის სტატუსის მომწესრიგებელი ნორმების ორგანული კანონის რანგში განმტკიცება.

დგინდება მნიშვნელოვანი კონსტიტუციური ნორმა-პრინციპები, რომლის თანახმად საყოველთაო არჩევნებით არჩეული ორგანოს მიმდინარე უფლებამოსილების ვადის კონსტიტუციით ან კანონით შემცირება ან გაზრდა დაუშვებელია. წარსულის პრეცედენტების პრევენციისთვის, მნიშვნელოვანია, რომ დემოკრატიული მანდატის ვადის ხელშეუვალობის პრინციპი კონსტიტუციის დონეზე ნორმატიულად განმტკიცდეს. ახალი ნორმა უზრუნველყოფს როგორც უმაღლესი ხელისუფლების, ისე ავტონომიური რესპუბლიკებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მიმდინარე უფლებამოსილების ვადის ხელშეუვალობას.

უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები დაჯგუფებულია სფეროების მიხედვით. მნიშვნელოვანია, რომ კონსტიტუციის მეორე თავი ჩამოყალიბებულია ახალი სტრუქტურით. მეორე თავის პირველი ნორმა ადგენს ადამიანის ღირსების ძირითად უფლებას, რასაც აქვს უმნიშვნელოვანესი კონცეპტუალური დატვირთვა. მეორე თავში შეტანილი ცვლილებები განამტკიცებს ფიზიკური ხელშეუხებლობის ძირითადი უფლებას, გენდერულ თანაწილობას, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებებისა და ინტერესების რეალიზების გარანტიას, ამკაცრებს პირადი სივრცისა და კომუნიკაციის ხელშეუხებლობის უფლების შეზღუდვის პირობებს, ადგენს ინტერნეტის ხელმისაწვდომობის ძირითად უფლებას, ადგენს ძირითად უფლებას კარგ მმართველობაზე, ზრდის საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის სტანდარტს, ადგენს აკადემიური თავისუფლების ძირითად უფლებას, განამტკიცებს მეწარმეობის თავისუფლების ძირითად უფლებას, ჯანმრთელობის დაცვის ძირითადი უფლების დაცვის სტანდარტს, განამტკიცებს ძირითადი უფლებების არსის ხელშეუვალობის პრინციპს, უზრუნველყოფს სახალხო დამცველის დაცვას თანამდებობრივი იმუნიტეტით და ითვალისწინებს სხვა მნიშვნელოვან ნოვაციებს.

კონსტიტუციას ემატება ნორმა, რომელიც ადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ინდივიდთან დაკავშირებული საქმის გონივრულ ვადაში სამართლიანად განხილვის უფლებას. შესაბამისად, უფლება ე.წ. კარგ მმართველობასა და სამართლიან ადმინისტრაციულ წარმოებაზე ძირითადი უფლების რანგში იქნება განმტკიცებული. კონსტიტუციას ემატება ნორმა, რომელიც მიწას ანიჭებს განსაკუთრებული